ხუთშაბათი, 25 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ხუთშაბათი, 25 მარტი 1904წ.

# ივერია

№ 76 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 76

გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, | |

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 27 მარტს,

გამოვიდა ღ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდლმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

რო-ინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აპილა

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის მე მომცემიძე.**

## ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

## „საქართველოს კალენდარი"

ალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანეთის ნაცვლად—50 კაპიკად.

კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი"

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დგან ღვინო ისყიდება

**ბოთლი**—20, 25 და 30 კაპ. და მეტად

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა; განყოფილება: მიხეილის პრ., სლივიცკის, სახლში, № 81. ღვინო ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

**ქ. ქუთაისში** გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო-ამხანაგობის «**კოლხიდის**» საწყობში ხსენებულ ამხანაგობის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება «**კახეთის**» ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმსგავსებული იარლიკები. (10—6.—3).

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა"

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **ძირითადა თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—27)

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის სა-კრებულოს"

## საზაფხულო ბაღშ.

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

## სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა ღ ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—2)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ზ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**ზ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს›, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასმაიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ზ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ-10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. ზ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ომის ამბები

### წერილები და დეპეშები.

რუსეთის თავად-აზნაურთა დახმარება.—ვლადივოსტოკის ესკადრა.—ჩერქეზები ხარბინში.—ტაიმსის რჩევა.—ინგლის-საფრანგეთის დამეგობრება.—წვრილი ამბები.—ა. სუვორინის გაცხარება.

დასრულდა თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება მოსკოვში, რომელსაც აზრადა ჰქონდა, თავად-აზნაურობამ შეერთებულის ძალით დახმარება აღმოუჩინოს ომში დაჭრილ ჯარის კაცებს. ამ კრებას დასწრებია გუბერნიის 20 მარშალი და 5 გუბერნიის წარმომადგენელი. გამოირკვა, რომ რუსეთის თავად-აზნაურობას შეუძლიან ერთი მილიონი მანეთი გამოიღოს დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის კაცების მოსავლელად. («მ. ვ.»).

—

ვლადივოსტოკის ესკადრაზე ნამდვილი არა ისმის-რა. ის ამბავი, ვითომც ესკადრა ამერიკისაკენ წასულიყოს, რომ ჩილიდგან ანუ არგენტინისაგან ნაყიდი სამხედრო გემები გამოიყოლოს, «მოსკ. ვედ.› თანამშრომელს ვ. მ-ს უსაფუძვლოდ მიაჩნია. ომის დროს არც ერთს მოპირდაპირეს არ შეუძლიან სამხედრო გემი იყიდოს, რადგან ეს ნეიტრალიტეტის დარღვევა იქნებოდა. ამ შემთხვევაში, რუსეთმა რომ მართლა იყიდოს ვისგანმე სამხედრო გემი ღ მასალა, ინგლისი მოვალე იქნებოდა ომში ჩაერიოს და იაპონიას მიემხროს, ხელშეკრულობის ძალით. ვლადივოსტოკის ესკადრას არც შეეძლო ამერიკაში წასვლა, რადგან გზაში დასჭირდებოდა 15,000 ტონი ქვა ნახშირი, ესკადრის გემები-კი მხოლოდ 12,000 ტონს დაიტევს. ამას გარდა, წასვლა-წამოსვლას დიდხანს მოუნდებოდა, არა ნაკლებ 135 დღისა. რა საჭირო იყო ასე ხანგრძლივი მოგზაურობა, როდესაც რუსის ფლოტი ევროპის ნავთსადგურებიდგან 2—3 თვეზე მივა შორეულ აღმოსავლეთში.

—

გაზეთ «ტაიმსის» სამხედრო მეთვალყურე გულმტკივნეულად ურჩევს იაპონელებს, აზიის შუაგულს ნუ წაეტანებით, რადგან მაშინ ჩინელების დახმარება დაგჭირდებათ და ეს ხომ სხვა სახელმწიფოებსაც აიძულებს ომში ჩაერიონო. აქამომდე იაპონელებს თანაუგრძნობს მთელი განათლებული კაცობრიობა, რადგან იაპონელები გულადნი, გონიერნი და ზომიერნი არიან და თუ ჩინეთიც გაჰრიეს ომში, მაშინ ყველას შიში შეეპარება, იქნება საერთოდ ევროპიელების გაძევება მოიწადინონო. იაპონიის წამქეზებლებმა დაგვიმტკიცონ, რომ რუსეთი დაჰკარგავს სიმტკიცესა და სიმამაცეს და მისს დამამცირებელ ზავს მაშინვე დასთანხმდება, როდესაც მხოლოდ ერთს მის ლაშქარს დაამარცხებენ ღ ჩვენც ხელს მოვუმართავთ იაპონელებს და ვურჩევთ ხარბინზე გაილაშქრონ. მაგრამ ეს საფიქრელიც არ არის და ისტორიის წინაღმდეგიც იქნება. ცოცხი მოუსვით 150,000 რუსს და მათ მაგიერ ხარბინში 250 ძლევა მოსილი იაპონელი დააყენეთ. განა ამით საქმე გადაწყდება? მაშინ ბაიკალის ტბასთან 300,000 ჯარის კაცი შეგროვდება. ესეც რომ დაამარცხონ, ურალზე მილიონი კაცი დაუხვდება და მოსკოვის გზაზე სამი მილიონი და იმას იქით უფრო მეტიც... იაპონელები მუკდენის იქით წასვლას არ უნდა ჰფიქრობდნენ და პირველ ხანს მხოლოდ ამას უნდა დასჯერდნენ, შემდეგ ზაფხულში შეუძლიანთ პორტ-არტური და ვლადივოსტოკი აიღონ და ეს მხარე გაამაგრონ, რომ მერე რუსებმა ველარა დააკლონ-რა.

საყურადღებოა, რომ «ტაიმსმაც» კილო შეიცვალა,—ამბობს «პეტ. ვედ.»,—წინად სულ იმას გაიძახოდა: «ტორეადორ, თამამად იბრძოლეო!»

—

ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებისა და ხელშეკრულობის შესახებ უცხოელთა გაზეთები იუწყებიან, რომ ამ საგანზე მოლაპარაკება ჰქონიათ მეფე ედუარდს და პრეზიდენტ ლუბეს პარიჟში და მას შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრებს. ორი სახელმწიფო მორიგებულან ეგვიპტისა, მაროკკოსა და ნიუფაუნდლენდის გამო, ხოლო ამას არ დასჯერდებიან და უნდათ გამოარკვიონ ყოველი ეხლანდელი, თუ მოსალოდნელი, უთანხმოება საერთოდ ყველა კოლონიების შესახებ და მასთან საკავშირო ხელშეკრულობა დასდონ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყოველი ფიქრი და სამდურავი მათ შორის მოისპოს. ამას შემდეგ მოსალოდნელია, რომ საფრანგეთი ინგლისისა და რუსეთის დაახლოვებასაც ეცდება. პეტერბურგში კარგად იციან საგანი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისა და სრულიად კმაყოფილნი არიან. როდესაც ხელშეკრულობა დაიწერება და გამოქვეყნდება, მთელს ევროპას გააოცებს მისი შინაარსი, მეტადრე იმათ, რომელთაც ზღაპრად მიაჩნდათ ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოს დროს რუსეთსა და ინგლისს შორის ისეთი განხეთქილება აღარ არსებობს, როგორც წინად, და უფრო ნდობით უყუ-

რებენ ერთმანეთს ეს ორნი სამტროდ გამზადებულნი სახელმწიფონი. გაჰქრება ინგლისში ის ეჭვიც, ვითომც რუსეთს განზრახვა ჰქონდეს ინგლისს საქმეები დაუხლართოს ინდოეთში და ჩამოაცალოს კიდეც.

საყურადღებოა,—ამბობს გაზეთი «ნოვოსტი»,—რომ ეს სანუგეშო ხმები ინგლისიდგან მოისმისო.

—

«ტაიმსის» კორესპონდენტი ჩემულპოში ურჩევს ინგლისს, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრას ვეი-ჰაი-ვეის ჩინებულს ნავთსადგურს, რომლის ბადალიც არ არის ყვითელ ზღვაზე და პეჩილიის ყურეში. წინანდელი ციხე-სიმაგრე სულ გაოხრებულიაო. მისს აღდგენას ბევრი არა მოუნდება-რა და შესაძლოა, იქ მცხოვრებ 150,000 ჩინელთაგან შეჰგროვდეს საკმარისი მეციხოვნეთა ჯარიო. თუ გერმანიას მთელი შანთუანის ნახევარ-კუნძული უჭირავს, განა ინგლისს აწყენს, რომ ვეი-ჰაი-ვეი მაინც ჰქონდეს გამაგრებულიო. როდესაც პორტ-არტური იაპონელების ხელში გადავა და ინგლისს ვეი-ჰაი-ვეი ეჭირება, მაშინ ჩინეთს შიში აღარ ექნება და მისს სამფლობელოს ხელს ვეღარავინ წაატანსო. («მ. ვ.»).

—

შანჰაიდგან ტოკიოში აცნობებენ, რომ ჩინეთის ჩრდილოეთის-ესკადრა საომრად გამზადებულიაო. იარაღი, ტყვია-წამალი, ქვა-ნახშირი და სხვა სულ საკმაოდ არის გემებზე. თვით გემები შავად შეუღებიათ.

სამხრეთის-ესკადრის ადმირალმა ლი-ჯენ-ჯუნმა თავისი ბინა უ-სუნს გადიტანაო. («ნ. ვ.»).

—

ჩინელი დიპლომატები ირწმუნებიან, რომ ჩინეთი ნეიტრალიტეტს არ დაარღვევსო. ასევე ლაპარაკობდნენ 1900 წელსაც, გერმანიის ელჩის კეტტელერის სიკვდილის ორიოდე დღის წინად. ასეთისავე სიმშვიდით ხალხს აჯანყებდნენ და აქეზებდნენ ევროპიელების წინააღმდეგ და ბოლოს-კი ბოდიშს იხდიდნენ და პატიებასა თხოულობდნენო, — ამბობს «ნოვ. ვრემია».

კიდევ ერთი ამბავი ჩინელების მოქმედებისა: ჩინეთის მთავრობას ნება მიუცია თავის მოხელეებისათვის, რომ რკინის გზის რუკა და მატარებლებისა თუ სხვა მოძრავ ქონების სია იაპონელებს გადასცენო. კარგი ნეიტრალიტეტია!

ვლადივოსტოკისა, ნიკოლსკისა და ხაბაროვსკის მეციხოვნეთაგან 150 უნტეროფიცერი გამოუყვანიათ და დაუვალებიათ, რომ გაწრთვნან ის რუსები და კორეელები, რომლებსაც ჯარში წაყვანის სურვილი გამოუცხადებიათ. რაზმების შესადგენად უსურიის ოლქში ყველა სოფლელებიდგან კომლზე კაცი გამოდის. ამ ჯარის კაცებს ბერდანის თოფებს ურიგებენ ხიშტებითურთ. («ნ. ვ.»).

—

ჩერნოგორელთა თავისუფალი რაზმი 4 თებერვალს ხარბინს მისულა და იქიდგან პორტ-არტურისაკენ წასულა. ამ რაზმის უფროსად არის ჩერნოგორიის სამხედრო მინისტრის ადიუტანტად და მდივნად ნამყოფი მ. შპატიერი («ზაბ. ვ.»).

—

ხარბინში მცხოვრებ ჩერქეზებს ცალკე რაზმი შეუდგენიათ, რომელიც ომის ველზე უკვე წავიდა. ამ რაზმში 40—50 მხედარია. «ამ. გაზ.» ამბობს, ეს ამბავი ორნაირად არის სასიამოვნოდა სასარგებლოო: ავაზაკთა რიცხვი შემცირდება ქალაქში და ჩვენს მეომართ რამდენიმე საუცხოვო მხედარი მოემატება, რადგან ჩერქეზები ცხენოსნობაში განთქმულნი არიანო.

—

„როგორ გაბედა იაპონიამ ომი რუსეთთან? სწორედ: როგორ გაბედეს, რამ გააბედვინაო?—ასეთი აზრი ებადება ყველას თავში, ამას ეკითხებიან ერთი მეორესაო,—ამბობს «ნოვ. ვრემია».

რაც უნდა იყოს, რუსეთი ორასი წელიწადი ცხოვრობს ევროპიულად. ამ დროს უზარ-მაზარ იმპერიად გადიქცა. ას წელიწადზე მეტია, რაც აკადემიები და უნივერსიტეტები აქვს, თავისი ხელოვნება, მწერლობა, მეცნიერება, განათლება. ჩვენ ევროპიულ კულტურის ტრადიციებიცა გვაქვსო. რუსეთის სამხედრო ისტორიას ხომ ლაპარაკიც არ უნდა. რუსეთს იმდენჯერ უომნია, რომ საჭირო არც-კი იყო. ხანდისხან ომობდა სულ უბრალოდ, ერთ მოწვევა ბურნუთისათვის, და ისიც უხეიროსი. სად და ვისთან არ უომნია? ბოტნიკის ყურედგან ხმელთაშუა ზღვამდე, ფინლიანდიის ცივ ქედებიდგან, ავღანისტან-ადრიანოპოლამდე, იტალიაში, ხივა-ბუხარასა და პარიჟში. უნდა ითქვას, რომ რუსეთმა ფეხით და ზურგზე თოფით მოიარა უმეტესი ნაწილი აზიისა და თითქმის მთელი ევროპა. ორასის წლის მძიმე და აუტანელმა სკოლამ გააფოლადა და გამოაბრძმედა რუსის მეომარი და უძლეველად აქცია. დამარცხების დროსაც კი რუსი სულით არ ეცემოდა და კვდებოდა, როგორც გმირი და ქრისტიანე. წარსულის საუკუნის უდიადესი სარდალი ნაპოლეონიც კი •ქებდა რუსის ჯარის კაცს.

მაშ რადა ჰგონია იაპონელს, რომ რუსს დასძლევს? «როგორც დავითმა დასცა გოლიათი, ისე ჩვენ დავანარცხებთ რუსეთსაო», სწორედ ასე ამბობდა თურმე იაპონიის ინტელიგენცია გაზეთებში. ნუ თუ მართლა ინგლისმა და იაპონიამ დაარწმუნეს იაპონელი, რომ ის დავითია და რუსეთი—გოლიათი? თუ ისინი უფრო მართალნი არიან, რომლებიც ამბობენ, რომ ამერიკასა და ინგლისს უნდოდათ, თავის ვაჭრობის გასაძლიერებლად, მოქიშპე მოეშორებინათ და იმისთვის მოახვიეს იაპონიას ეს ომიო: დეე, სულელმა ცეცხლში იბრძოლოს და ჩვენ-კი ხელს მოვითბობთო. თუ რომ რუსეთი გვერდებს არ დაამტვრევს, ხომ გაალატაკებს, და თვით რუსეთსაც კაკუჩი მოხვდებაო.

შემდეგ ა. სუვორინი სხვა მრჩეველებზე გადადის და ბოლოს, სხვათა შორის, ამბობს:

მე როგორღაც წამომცდა და ისიც ბოლიშით, რომ გამარჯვებულ რუსეთს შეუძლიან, თავის სულგრძელობით, იაპონიას გადასცეს კორეის პროტექტორობა, და პასუხად მრავალი საყვედურის წერილები მივიღე: «გამარჯვებულმა რუსეთმა რომ იაპონია გახადოს კორეის პროტექტორად—ეს ხომ მძიმე დანაშაული იქნებოდა სამშობლოს წინაშეო. ჩვენი შთამომავლობა ხომ წყევლა-კრულვას შეუთვლის იმათ, ვინც ამას ჩაიდენსო. შეიძლება გვაიძულონ, რადგან ყოველ ძლიერებას თავისი საზღვარი აქვს, მაგრამ ნებაყოფლობითა და სულგრძელობით დათმობა—ეს ხომ გლადიატორის სიკვდილი იქნებოდა, რომელმაც ასი მტერი დაამარცხა და ბოლოს თვითონ მოხდენილად დაიკრა დანა გულში, რომ ველური და სისხლის მოყვარე მაყურებლები გაახაროსო... ამ შემთხვევაში გამარჯვებულის სულგრძელობა დეკადენტების პოლიტიკას ემგვანებოდაო». წერილები მხოლოდ მამაკაცებისა კი არ იყო, არამედ დედაკაცებისაც. ბერლინის კონგრესის ჭრილობა არამც თუ არ მორჩენილა, არამედ უფრო გამწვავებულა, თითქო ყველა ჰგრძნობს, რომ ამ ომის ფესვი იქვეა, იმ ბერლინის კონგრესში».

# ტფილისი

*** აღდგომის შემდეგ ქართულის თეატრის მსახიობთა ამხანაგობა კვლავ დაიწყებს წარმოდგენების მართვას. აზრად აქვთ, რამდენიმე ახალი პიესა წარმოადგინონ.

*** როგორც ვუწყით, დღემდე ფული იკრიბებოდა ტფილისის სახალხო სახლის ასაგებად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, დღეის იქით შეწირულებანი აღარ შეიკრიბოს.

*** ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო, რომ ის ნაწარმოები შინა-მრეწველობისა, რომელიც სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე უნდა გაგზავნილიყო კავკასიიდან, გადაეცეს კავკასიის მუზეუმს. ადესისკენ გაგზავნილ კოლექციათა ერთი ნაწილი ჯერაც არ დაბრუნებულა ტფილისში.

*** სამუსიკო და დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთ ტფილისში შეადგინეს პროექტი წესდებისა, თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩვენებისა, და კავკასიის უმაღლესს მთავრობას გადასცეს სამინისტროში წარსადგენად.

*** ქალაქის გამგეობა ბოლო დროს თითქოს მიხვდა, რომ წმინდა წყალი სჯობია მღვრიე წყალსაო და ავჭალაში წყლის გასაწმენდ ფილტრების მოწყობა განიზრახა. საქმეს მაინც ჩვეულებრივ აგვიანებს, თითქოს მაინც არ უნდა, შეჩვეულ მღვრიე წყალს გამოეთხოვოსო. ამ გვიანობას ცუდი შედეგი მოჰყვა: აიმღვრა მტკვარი ამ დღეებში და, რადგან არა სწმენდავენ წყალს, მცხოვრებნი იძულებულნი არიან უსუფთაო წყალი იხმარონ. ამ გარემოებამ კიდევ გაახსენა გამგეობას, რომ წყალს გაწმენდა უნდა და შეუდგა ავჭალაში წყლის გაწმენდას, მაგრამ მღვრიე წყალი ისევ მღვრიედ რჩება.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში ცნობა მოვიდა ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს სამმართველოდგან, პირველ აპრილიდგან სოფ. ბალთას (თერგის ოლქი) სატელეგრაფო სადგური გადაკეთებულ იქმნება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებადაო.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში ამ დღეებში თხოვნა მოვიდა ქუთაისის მაზრის სოფ. ბანძას მცხოვრებთაგან, რომელნიც თხოულობენ, ჩვენ სოფელში ფოსტის განყოფილება დააარსეთო.

*** ქალაქის ღამის პირველ თავ-შესაფარში თებერვლის განმავლობაში 3,623 ადამიანს გაუთევია ღამე. მომეტებული ნაწილი მამა-კაცები ყოფილან.

*** დღეს, 25 მარტს, დანიშნულია ქალაქის ღამის თავ-შესაფართ მეთვალყურე კომისიის სხდომა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ჭიათურის საზოგადო საკრებულოს წესდება.

*** კავკასიის უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა წესდება იმ საზოგადოებისა, რომელსაც აზრად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს სიღნაღის დედათა სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთ.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას სადგომში გამოკიდულია სია იმ ახალგაზდა კაცთა, რომელნიც წელს არიან გაწვეულნი სამხედრო ბეგარის მოსახდელად. კენჭის ამოღება ოკდომბერში იქმნება.

*** ტფილისის გუბერნიაში სულ 43 აფთიაქი ყოფილა. ტფილისში ყოფილა 18.

*** ამ ჟამად გორში ხიდს აკეთებენ. ხარჯთ-აღრიცხვა ხიდისა უმაღლესს მთავრობას უკვე დაუმტკიცებია. ხიდის გაკეთებას 2—3 წელიწადს მოუნდებიან.

*** განჯის გუბერნიაში კალიის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად წელს გადადებულია 9,200 მანეთი.

*** ქალაქის ხორცის დუქნები დღესასწაულების განმავლობაში მხოლოდ აღდგომა დღეს იქმნება დახურული.

*** ქალაქის გამგეობა 250 მან. გადასდო, რომელიც აქაურ ღარიბთ უნდა დაურიგდეთ აღდგომის უქმეებში. გამგეობამ საავქრო-სამეურნეო პოლიციას დაავალა, შეიტყვეთ, რამდენია ღარიბი ტფილისში, რომ შესაფერად გავანაწილოთ ფული მათ შორისო.

*** ტფილისის პირველ საკვირაო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, პირველ აპრილს მურაშკოს თეატრში წარმოდგენა გაიმართება.

*** 21 მარტს, საღამოს 8 საათზე, კახეთის ქუჩაზედ, სპარსეთის ქვეშევრდომმა აკოფ აკოფოვმა ჩხუბის დროს ტფილისის მოქალაქეს ივ. ბანდალაშვილს მუცელში ჩასცა დანა. აკოფოვი შეიპყრეს. ბანდალაშვილი, რომელიც საშიშოდ არის დაჭრილი, მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

*** 22 მარტს, ღამის 12 საათზე, ორი ვაჭარი, გ. მაიერი და ა. სოლომონოვი, ცხენის რკინის გზით მიდიოდნენ მიხეილის ქუჩაზე. გზაზედ ვიღასაც ორთავესთვის საათები ამოუცლია. პირველის საათი 200 მანეთი ღირდა, მეორისა—110 მ.; ქურდი არ იციან ვინ არის.

—

**შეცდომის გასწორება.**

ამას წინად დავბეჭდეთ ლექსი ვ. რუხაძისა, «მეხის გავარდნის წინ» და გულმავიწყობით ქვეშ არ მოვაწერეთ სახელი და გვარი ავტორისა.

# ჩვენებური ამბები

**ბათუმი.** 21 მარტს იყო წლიური კრება ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბანკის გამგის ბ-ნ შჩოლიანსკის არჩევანმა.

# ფელეტონი

(ვნების კვირას)

დახე, ვით სძაგს ხალხს იუდა?
როგორ ზიზღით იგონებს მას.—
შ..ერს ეძიებს მოღალატის...
შორს მთაც, ბარიც მას «აძლევს»
ხმას:
«საზიზღარი, გესლიანი,
ის მესიას ემოწაფა...
წყეულ იყოს გამცემელი,
წყეულ იყოს კაიაფა»...
და ხმა გრგვინვით ადის ცაში,
ჰაერს აპობს, ვით ისარი...
ისმის მაღლით გამოხმობა:
«წყეულ იყოს კეისარი»...
იუდა ძრწის შიშისაგან,
მოღალატე, ხალხის მტერი;
სინდისი სჯის—ვინც გაჰყიდა
ნათელი, ცით მონაბერი...
ხალხი ჰგლოვობს... იუდა-კი
დარბის ველად, ვითა ხელი...
სულმდაბალმა ანგარებით
საღრჩობელას მისცა ყელი...
აღსრულდა ის... მოკვდა კიდეც
ნათლის მსხვერპლი საზიზღარი...
ხალხს ცრემლები შეაშრება,
როს აღსდგება მაცხოვარი...

ცალხელი.

## სამეგრელოს სკოლების აწინდელ ვითარების გამო.

კავკასიის ერების ზედმიწევნით მცოდნე და მასთანვე რუსთა დიდი პატრიოტი ფადეევი თავის ერთ-ერთ თხუზულებაში ამბობს: «ქართველი რომ რუსის კარგი ქვეშევრდომი გამოდგეს, უპირველეს ყოვლისა, იგი ჯერ კარგი ქართველი უნდა იყოს»-ო.

ეს მოსაზრება ხანგრძლივის დაკვირვების და გამოცდილების შედეგია. თვითოეული შეგნებული მოაზრე, რომელიც საერთო პროგრესის დამკვიდრების საქმეს ემსახურება, ოდნავაც არ შელახავს ბ-ნ ფადეევის მიერ წარმოთქმულ აზრს, რადგანაც ამ აზრის დაცვა სავსებით მოასწავებს საერთო კეთილდღეობის, საერთო პროგრესსის განმტკიცებას.

აგერ მთელმა საუკუნემ განვლო, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ ხანგრძლივი დროს განმავლობაში ქართველმა ერმა მრავალის გზით დაუმტკიცა რუსეთს გულწრფელი და თავდადებული ერთგულება, რაიცა არა ერთხელ შეუმოწმებიათ თვით რუსების გვირგვინოსნებს. «ქართველი ერი», — ნაბრძანებია იმპერატორ ნიკოლოზ მეორის უმაღლესს რესკრიპტში, «იძლევა შეურყეველ მაგალითს რუსეთის ხელმწიფეებისა და თავის ახალის სამშობლოს ერთგულებისას»-ო.

ქართველმა ერმა, დროთა ვითარების გამო, ამ ასის წლის წინად დასთმო თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შეაფარა თავისი თავი რუსეთის იმპერიას იმ განზრახვით, რომ შეერჩინა თავისი არსებობა. თავისი ენა და სარწმუნოება. რუსეთის გვირგვინოსნები დიდის სიამოვნებით მიეგებნენ ქართველ ერის ასეთს განზრახვას და თვისის უმაღლესის მფარველობით აღუთქვეს შემუსვრა ყველა იმ მოსალოდნელ საფრთხეთა, რაიცა ქართველის ერის ენასა და სარწმუნოებას სრულს გადაგვარებას და განადგურებას უქადდა.

საქართველო ამის შემდეგ განვითარების საერთო ფერხულში ჩაება და მით, შეძლებისადაგვარად, ხელს უწყობდა და კიდევაც დღეს ხელს უწყობს საერთო კულტურულ განვითარების საქმეს.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანებში ქართველის ერის ამ კეთილ მისწრაფებას, ზოგიერთ ვაჟბატონების წყალობით, საიმედო ნიადაგი უსუსტდება.

რუსეთი მუდამ ჟამს იმის ცდაშია, რომ ცენტრი და განაპირა ქვეყნები სულიერად გადააკავშიროს. სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთობას მრავალჯერ ჰქონია სჯა-ბაასი ამ საკითხის შესახებ და თვისი მსჯავრი არა ერთხელ საქმის საკეთილდღეოდ წარმოუთქვამს.

თვითოეულ შეგნებულ რუსის პატრიოტს, თვითოეულ პირუთვნელ რუსის პუბლიცისტს ცენტრისა და განაპირა ქვეყნების სულიერად გადაკავშირება იმ მხრით ესმით, რომ განაპირა ქვეყნების მკვიდრმა თავის ენაზე ადიდონ ჭეშმარიტი ღმერთი, თავის ენაზე განავითარონ თავისი კულტურული ძალები, რათა უფრო შეგნებული, თვითცნობიერნი წევრნი გახდნენ რუსეთის დიდის იმპერიისა. იდეიური კავშირი, იდეიური ერთიანობა უფრო საიმედოდ და სასარგებლოდ მიაჩნიათ ამ პუბლიცისტებს, სანამ უსულო და უგულო მექანიკური კავშირი.

სამწუხაროდ, და თვით რუსეთის იმპერიის კეთილდღეობის საზიანოდ, ზოგიერთი პუბლიცისტები სულ სხვანაირად მსჯელობენ და მთავრობა ამნაირად მრავალჯერ შეცდომაში შეჰყავთ.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ სამეგრელოში, როგორც საქართველოს ერთ-ერთს ნაწილში, ღვთის მსახურება დასაბამიდგანვე ქართულს ენაზე სწარმოებს.

ამ ათი წლის წინად ზოგიერთ ცრუ-მოაზრეთა წყალობით სამეგრელოს მკვიდრს დიდი განსაცდელი მოელოდდა, რომ, მართლაც სათანადო მთავრობას ყური დაეგდო ამ ვაჟბატონებისათვის. მეგრელები და ქართველები ენის მხრით დიდად განსხვავდებიან და ამიტომ, საჭიროა სამეგრელოს მკვიდრთა შორის ღვთის მსახურება მეგრულს ენაზე სწარმოებდესო.

უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ თავის დროზე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და, მართლაც, განიზრახა ღვთის მსახურების შემოღება სამეგრელოში მეგრულს ენაზე.

ადგილობრივმა სამღვდელოების კრებულმა, მაშინდელის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გრიგოლის თავმჯდომარეობით, საბუთიანის მოსაზრებით დაუმტკიცა უწმიდესს სინოდს, რომ სამეგრელოში მეგრულს ენაზე ღვთის მსახურების შემოღება მეტად ცუდს გავლენას იქონიებს ადგილობრივ მკვიდრზე. სამეგრელოს მკვიდრი აუცილებლივ ჩამოსწყდება მართლ-მადიდებლობას, რადგან მეგრულს ენაზე ყოვლად შეუძლებელია გამოიხატოს არა თუ სამღვთო წერილის ღრმა და ზნეობრივი აზრები, არამედ სულ უბრალო და მდაბიო აზრების გამოთქმაც კი მეტად გასაჭირი და მოუხერხებელიაო. უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ, მართლაც, მიიღო მხედველობაში ეს მოსაზრება და ამნაირად იხსნა მთელი სამეგრელო, ჭეშმარიტად, წამებისაგან.

სამეგრელოში რომ, მართლაც, ღვთის მსახურება მეგრულს ენაზე შემოეღოთ, როგორც ამას ამტკიცებდნენ ზოგიერთი ვაჟბატონები, სამეგრელოს მკვიდრთა შორის სარწმუნოება ისე დაეცემოდა, რომ მის აღსადგენად დიდი და დიდი შრომა-მეცადინეობა იყო საჭირო. კარგი, რომ ეს ასე არ მოხდა და სამეგრელოს მკვიდრი უვნებლად გადარჩა სარწმუნოების მხრით გათახსირებას!

ურწმუნო თომანი დღესაც უკმაყოფილონი არიან სასულიერო მთავრობის ასეთის განაჩენისა და ხანგამოშვებით მთავრობას უპირდებიან ღვთის მსახურებაში სრულიად მავნებელ წესწყობილების შემოღებას.

ამ ვაჟბატონთა შორის ყველაზე უფრო თავი ისახელა პუბლიცისტმა მამა ვოსტოროგოვმა. «საქართველოს საეგზარხოსო სასულიერო მოამბე»-ში ეს პუბლიცისტი ამტკიცებს, რომ «მეცხრამეტე საუკუნის დამლევიდგან-კი კავკასიის ყველა ერებს აერთებს რუსული ენა, როგორც სახელმწიფო, რომლის საშუალებითაც შეუძლიანთ შეიძინონ ევროპიული განათლება. ამის მიხედვით იცვლება ღვთის მსახურების ენაც და სასკოლო წარმოების საქმეც»-ო.

ამ დიდად პატივცემულ პუბლიცისტს რომ ცოტათი მაინც პატივისცემა ჰქონოდა ბეჭვდითი სიტყვისა, ზემოდ ამოწერილს სტრიქონებს იგი თავის დღეში ადგილს არ მისცემდა, მით უფრო «სასულიერო მოამბეში».

მართალია, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდგან რუსული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, აერთებს ყველა კავკასიის ერებს, მაგრამ არ არსებობს არც ერთი ოფიციალური განკარგულება, რომელიც ავალებდეს ამ ერებს «შეხცვალე ღვთის მსახურების ენაც», შენს ენაზე ნუ ადიდებ ჭეშმარიტ ღმერთსაო. ყველა ოფიციალური აქტები, რომელიც-კი შეეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეს, ნათლად მოწმობს, რომ ეს მხარე სარწმუნოებისა რუსეთის გვირგვინოსანთა მიერ სრულიად ხელშეუხებლადაა აღიარებული. ეს რომ ასე არ იყოს, უწმინდესი სინოდიც დასთანხმდებოდა სამეგრელოში ღვთის მსახურების წესწყობილების შეცვლას. პირიქით, უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ თავისის სწორის განაჩენით აღიარა, რომ სამეგრელოში ქართული ენა სამშობლო ენაა, და, მაშასადამე ჭეშმარიტი ღმერთიც ამ ენაზე უნდა იდიდებოდესო.

რუსეთს სარწმუნოებრივი შევიწროების პოლიტიკა არას დროს არა ჰქონია, და აბა რა დასაჯერებელია, რომ დღეს, მეოცე საუკუნის დამდეგს, ამ სამარცხვინო პოლიტიკის მიმდევარი იყოს. თუ ჯერ-ჯერობით კიდევ ადგილი აქვს პრესაში მამა ვოსტოროგვისებურ აზრებს, ეს სამწუხარო ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს.

მ. ვოსტორგოვი მსჯელობს არა მარტო სასულიერო საქმეების შესახებ, არამედ ლინგვისტიკისა, ეთნოგრაფიისა და პედაგოგიის შესახებაც-კი. იმავე «სასულიერო მოამბე»-ში სამეგრელოს სკოლების შესახებ

შპოდიანსკი შეიდი წელიწადის ბანკის გამგეობის თავმჯდომარეა. რადგან ხმები ორ თანაბარ ნაწილად გაიყო, არჩევანი არ შესდგა და გადაიდვა 11 აპრილისათვის. კრებაზედ ბ-ნმა ივანე კახიანმა წარმოსთქვა, რომ წლევანდელი დივიდენდი, რომელიც 4,412 მანეთია, ასე გავანაწილოთ: ამ ფულიდგან 3912 მ. 48 კ. ქართველთა ეკკლესიას შევსწიროთ, რომელიც ახლა შენდება. ამ აზრს ყველა დაეთანხმა და ერთხმად დამტკიცდ ბ-ნ ივანე კახიანის აზრი. დანარჩენი 500 მანეთიც, საერთო კრების დადგენილებით, წითელ ჯვრის ფონდის გასაძლიერებლად გადაიდვა.

ს. ახ.

---

**ქიზიყი.** ახალგაზდა პოეტები აღტაცებულის სიხარულით გვახარებენ გაზაფხულის მოახლოვებას. მართალია, ჩვენც ვგრძნობთ გაზაფხულის, გახსნების სიახლოვეს, ჭფეთქავს ძალი სიცოცხლისა, მაგრამ აწ მდგომარე მარტმა გამუდმებულის, დაჟინებულის წვიმებითა და ცუდის ტაროსით, სიცივეებით, სიცოცხლე ჩაგვიშხამა; ასე გასინჯეთ, სიცივისაგან ენა ვერ დაგიტოკბია'კაცს და რაც სათქმელია, ვერ გითქვამს.

ტყუილად-კი არ მღერიან აშუღები—«დაწყევლილო მარტის თვეო». კრული, წყეულიმც იყოს, მაგრამ სადა და როდის, ჩვენ-კი გაზაფხულამდის ძარღვებში სისხლი გაგვეყინება, აღარ გამოვდგებით გაფურჩქვნილ, აღყვავილებულ ცხოვრებისათვის.

თავი დავანებოთ პოეტებსაც და მათ ოცნებასაც. ჩვენ, ქიზიყელთა, გავერანებულ ცხოვრებას მივუბრუნდეთ. რა არის ეს ცხოვრება? გამუდმებული ტანჯვა, ვაება, ოფლის დვრა, შრომა, გამრჯელობა და ნაცვლად ამისა რა ჰრჩება ქიზიყელს ხახად ქვეშ ხელში?!. გამწარებული სიცოცხლე და გოდება. ვიშო..

ესე ყოველივე შედეგია აწინდელის ვითარებისა... ამას ყველანი ძალა-უნებურად ურიგდებიან, ძალა აღმართის მხვნელია, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩვენ თვით ვუათკეცებთ ჩვენს მოძმეთ ტანჯვას, მტერმოყვარე ვეღარ გაგვირჩევია და მით ისედაც გამწარებულ ცხოვრებას დაუსრულებელ გენიად და ცეცხლად ვუქცევთ.

საითაც გაიხედავთ ეხლა ქიზიყში, ყოველ მხრივ ასეთი შემზარავი ხმები გესმით. ყველა ის ბოროტება და მწუხარება რომ ჩამოვთვალო, რაც ქიზიყელთ ამ მოკლე ხანში ერთმანეთისათვის მიუყენებიათ, წამკითხველს თმა ყალხზე შეუდგება, ან ვინ მოსთვლის! მხოლოდ ერთის სოფლის მაგალითებს ვიგმაროთ: სოფ. ჯუგაანში მაქრო ბროლაძეს თამბაქოთი სავსე ფარდული დაუწვეს. ფარდულში ორას თუმანზე მეტის თამბაქო ეწყო და ოთხ ურმამდის ხორბალი დაფქული. ეს უკანასკნელი სარჩო-საბადებელი დაებუგა ამ საწყალ გლეხებს ვიღაც ბოროტ-განმზრახველის წყალობით. აი იქვე, ერთ საწყალ, ნიადაგ დღე ლუკმა-პურის ძებნაში თვალებ ამოღამებულ ნასყიდა ალადაშვილს, უსაბაბო-საბაბზე მეზობელმა ბარი დასთხლიშა წელში და საბრალოს სულთ ებრძვის. ჯუგაანშივე შემოდგომას აქეთია, რაც-კი ჯეჯილები მიწას ამოსცილდა, მთელი საზოგადოება ემუდარება ორიოდე კომლს მეცხვარეს, ცხვარი ჯეჯილებში ნუ შეგყავთ, ეგ არის ჩვენ ერთად-ერთი ნუგეში, მარჩენალით, მინდორი ისედაც საკმარისი გაქვთო, მაგრამ რა გამოვიდა. ამბობენ, მინდორი მთლად წაუხდენიათო—არც მინდვრის მოვლეებს ეპოვებიან—ზოგს თუ ქრთამით დააჩუმებენ, ზოგს გაუძალიანდებიან.

აი, მარტის შუა რიცხვებში სოფელმა 12 კაცი ამოირჩია, წადით მინდორს შემოუარეთ, თუ ჯეჯილებში მოატანოთ ცხვარი, დაარბიეთ, გირაო გამოიტანეთო, მაგრამ მეცხვარეებმა არამც თუ გირაო არ დაანებეს ერთ თორმეტ კაცთაგანს, მიხაკო კიკალაშვილს, რევოლვერიც-კი ესროლეს. იღბალზე, ტყვიამ იღლიას ქვეშ გაუარა, თორემ დაიღუპებოდა წვრილშვილისა და მოხუცებულ დედ-მამის შემნახავ-მარჩენალი კაცი.

ეს მარტო ჯუგაანის ამბებია. ამაზე უარესები სხვა სოფლებშია, მაგრამ ვინ მოსთვლის!

მკითხველი მიხვდება, რაგვარი ჩამწარებული ცხოვრება ექმნება ისედაც გათახსირებულ გლეხს.

ქიზიყელი

---

## ჩვენი მეურნე და პრესსა.

გაზეთ «კავკაზსკოე სელსკოე ხოზიაისტვო»-ს უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულია წერილები რედაქციიდან; ამ წერილებით სწორედ კანონიერად გვისაყვედურებენ მეურნეებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ თითქმის არასოდეს არ ვატყობინებთ რედაქციას ჩვენს აზრსა და დაკვირვებას მეურნეობაზე, არ გვინდა გამოვთქვათ ჩვენი გაჭირვება, არ ვაძლევთ არავითარ კითხვას ასახსნელად, არ ვაქვეყნებთ შედეგს ჩვენის გამოცდილებისას მეურნეობაში, არ ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს აზრებს გაზეთის შემწეობით და სხვა. შემდეგ გაზეთი აცხადებს სურვილს, რომ ჩვენმა მეურნემ კავშირი დაიკავოს გაზეთებთან.

ამნაირი მოწოდება გაზეთის მხრით პირველი არ არის, მაგრამ ჩვენი მეურნე ყურსაც არ ანძრევს, თითქო მას არავითარი გარემოება არ აწუხებდეს თავისს პროფესიაში. რამდენიმე წელიწადია, ამ გაზეთს თვალყურს ვადევნებ და, ჩვენდა სამწუხაროდ და სასირცხვილოდ, დასავლეთ საქართველოდგან ხუთიოდე წერილიც არ მოთავსებულა მეურნეებისა. თითოეული ჩვენთაგანი განცალკევებით, მამა-პაპურად მუშაობს, ათასნაირი დამაბრკოლებელი მიზეზები გზას ულობავს მას მეურნეობაში და თავის უვიცობით ვერავითარ საწინააღმდეგო ხერხსა და ღონეს ვერა ჰხმარობს. ჩვენი სიჩუმე და ღონისძიების მიუღებლობა იმ საგნის წარმატების შესახებ, რომელზედაც დამოკიდებულია ქართველის ეკონომიური და კულტურული წინ-მსვლელობა, სულიერი და ზნეობრივი განვითარება (მე მოგახსენებთ ჩვენს მეურნეობაზედ), ნათლად ამტკიცებს ჩვენს გულგრილობას სამშობლოს სიყვარულისადმი, რასაც, სხვათა შორის, გვიმტკიცებს ის სამწუხარო გარემოება, რომ ხელიდგან გვეცლება მიწა-წყალი და ამის მიზეზით რა უბედურება მოგველის,—ამას უკალმოდაც ჰგრძნობს და კარგადაც წარმოიდგენს თვითოეული ჩვენთაგანი. დღეს კავკასიაში არსებობს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთად-ერთი ორგანო «კავკასიის მეურნეობა», რომლის უხვის სტუმართ მოყვარეობით შეუძლია ისარგებლოს ყველა მეურნემ. მართალია, ეს გაზეთი გამოდის რუსულს ენაზედ, ყველას იმით სარგებლობა არ შეუძლიან, მაგრამ ყველა ჩვენს ინტელიგენტს – ქალაქებსა და სოფლებშიაც რუსული კარგად ესმის და თავის აზრს ყველა ჩინებულად გამოჰხატავს კალმით, მაშასადამე, დასურათება ჩვენისა და ჩვენთა მოძმეთა მეურნეობის მდგომარეობისა და მის წინმსვლელობის დამაბრკოლებელ მიზეზთა—სრულებით ადვილია. «გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო», ნათქვამია; გაჭირვებაში ფეხი უკვე ჩაფლული გვაქვს, მწარე მომავალიც დღითი-დღე გვიახლოვდება, ჩვენი უძლურება მათთან ბრძოლაში—აშკარაა. მაშ რას ვუყურებთ და ვის ვუცდით? ჩვენი და ჩვენთა მოძმეთა გაჭირვების გამომხატველი ვინ იქნება, თუ არა ჩვენი მარჯვენა? ვინ გამოგვიწვდენს ხელს, თუ რომ ჩვენვე არ გავაგებინეთ ჩვენი დარდი და მწუხარება?

პრესსაში ჩვენ შეგვიძლიან ვაღიაროთ ჩვენი დღიური ვარამი, ვითხოვოთ დახმარება, ვისგანაც ჯერ არს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა შეგვაჩეროს რუსულ გრამატიკისა ⷣ სტილისტიკის უცოდინარობამ, წინადადებათა ლიტერატურულ ფორმით გამოხატვის შეუძლებლობამ; უპირველესად ყოვლისა საჭიროა შინაარსი და არა გარეგანი ფორმა. ჩვენის აზრით, მიუცილებლად საჭიროა, საქმის გასაუმჯობესებლად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან დაახლოვება. ეს საზოგადოება არის ერთად-ერთი გამომხატველი ჩვენის მეურნეობის გაჭირვებისა წინაშე უმაღლეს მთავრობისა. ჩვენის წერილებით სამეურნეო საზოგადოებას და მისს მკითხველებს ჩვენ გავაგებინებთ კი ჩვენს მდგომარეობას, დაკვირვებას, მაგრამ დიდად ვეჭვობ, შეუძლიან თუ არა ამ საზოგადოების გაზეთს გაგვაგებინოს ჩვენ, ქართველ მეურნეთა უმრავლესობას, ჩვენი აზრი და გაგვაზიარებინოს ურთი-ერთ შორის ეს აზრები? ვფიქრობ, რომ არა, რადგანაც ეს გაზეთი არ არის გავრცელებული ჩვენ მეურნეთა შორის, თუმცა გაზეთის წლიური ფასი სულ ოთხი მანეთია. მაგრამ ერთად-ერთ შემაერთებელ ⷣ განუწყვეტელ ძაფად უნდა ჩავითვალოთ ჩვენი ქართული გაზეთები; სასირცხვოდ ჩვენდა, ხშირად, ძალიან ხშირად, ისე გაივლით ათ-ოც მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს, რომ ერთ ქართულ გაზეთს ვერ შეხვდებით. მთელი დღეები და თვეები ისე გარბის, რომ არა თუ ჩვენი დედა-ქალაქების, მაზრების ახალი ამბებიც შეუტყობელი ჰრჩება ჩვენს სოფლებს, რამდენი ათი და ასი ქართველთა ოჯახებია, სადაც ორ-სამ რიგიან ქართულ წიგნაკებსაც ვერ შეჰხვდებით. არ ვიცი, ღმერთმანი, რას უნდა მივაწეროთ ეს მოვლენა—სოფლის ინტელიგენტთა სისუსტეს, მკითხველ საზოგადოების უვიცობას, უფულობას, თუ რასმე სხვას? განა სასირცხვოდ ის-კი არა კმარა, რომ რამდენსამე ასი-ათას ქართველს მხოლოდ ორი ყოველდღიური გაზეთი აქვს? ჩვენის ფიქრით, თითოეულ ქართველს, რომელსაც სიყვარული აქვს თავის დედაენის პრესსისა, რომელსაც სწამს მნიშვნელობა ამ პრესსისა, ეინტერესება მდგომარეობა თავის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში მყოფ მოძმეთა, ვისაც უნდა გაგება სხვა-და-სხვა ქვეყნების ერ-ტომთა ცხოვრებისა, ვისაც უნდა გააგებინოს სხვას თავისი გულის-ტკივილი და მიიპოვოს ნუგეში,—წმინდა მოვალეობად უნდა მიაჩნდეს გაზეთის გამოწერა. სხვათა შორის, ამნაირად ჩვენ პრაქტიკულად დავამტკიცებთ ჭეშმარიტებას იმ გრძნობისას, რომელზედაც ასე ხშირად ვლაღადებთ...

ნ. მკურნალი.

---

## წერილი
### რედაქციის მიმართ

არა ერთსა და ორს მოუმართავს ჩემთვის შემდეგის კითხვით: რა მდგომარეობაშია მომავალ ქართულ სათეატრო საზოგადოების წესდების საქმეო? მე, როგორც ამ საქმესთან ახლო მდგომმა, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უნდა ვაუწყო შემდეგი ცნობანი ამ საქმის შესახებ: ჯერ ისევ თიბათვის პირველ რიცხვებში მომავალ ქართულის სათეატრო საზოგადოების წესდება წარედგინა ტფილისის გუბერნატორს თავისს კანცელარიაში; 18 თიბათვეს წესდება გარდაეცა კანცელარიიდან საგუბერნიო მმართველობას, 9 მკათათვეს საგუბერნიო მმართველობის ჩემთან გამოეგზავნა პოლიციის ბოქაულის თანაშემწის ხელით ქაღალდი, რომლითაც მაცნობებდა, თუ კიდევ ამდენსა და ამდენს მარკას არ წარმოადგენთ, თქვენი თხოვნა განუხილველი დარჩებაო; სამის დღის შემდეგ, ე. ი. 12 მკათათვეს, მარკები წარვუდგინე; ამის შემდეგ მივდიოდი ხოლმე საგუბერნიო სამმართველოში და ვთხოვდი, თუ შეიძლებოდა, მალე გაეგზავნათ, ვისთანაც ჯერ არს. ბოლოს დროს გადამიწყდა იმედი და ერთი გზა-და დამრჩა, მომემართნა თხოვნით გუბერნატორის თანაშემწისათვის, თუმცა-კი საქმე იქამდის არ მივიდა; შევიტყე, რომ საზოგადოების წესდება პირველი განყოფილების მთავრობის აქვს შენახული და აღსრულებულიც არის ყოველივე ფორმალური წესი; ზოგიერთი მოხელეთა რჩევით, მეორე დღეს მივედი დანიშნულს საათს და ვსთხოვე, რაც სათხოვარი მქონდა; ისიც დამპირდა; ამნაირად, მკათათვის 9-დგან ქართულ სათეატრო საზოგადოების წესდება საგუბერნიო მმართველობაში დაიჭირა 3 ნოემბრამდის, სხვა-და-სხვა ცნობების შესაკრებად. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების წესდება ბევრმა კალმა და დაწესებულებამ განიხილა; 3 ნოემბერს საგუბერნიო მმართველობამ წესდება გადასცა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას № 899-ით; მთავარ-მართებლის კანცელარიამ, როგორც მოხელეებმა მითხრეს, წესდება შინაგან საქმეთა სამინისტროში გაჰგზავნა, ხოლო ნომერი ამ ქაღალდისა არ მითხრეს, რადგანაც, როგორც მაჯერებდნენ, ეს ნომერი კანცელარიის საიდუმლოებას შეადგენსო. აი ის ცნობანი, რაც ვიცი.. არ ვიცი, ჩემ მიერ წარდგენილი წესდება სად ან რა მდგომარეობაშია.

აქვე ისიც უნდა ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩემთან ერთად, ერთს დროს, წარადგინეს სხვა-და-სხვა წესდებანი, მაგალ., დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა და სხვა; ამ საზოგადოების წარმომადგენელთ უკვე მოუვიდათ პასუხი—უარი განეცხადათ—და ჩვენ-კი, ვგონებ, კიდევ მოგვინდება ცდა.

ვთხოვ ყველას, ვისაც ან ნაცნობობით, ან რითიმე შეუძლიან, დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეს.

ი. კარგარეთელი.

---

იგი ბრძანებს: «ახლა-კი ნაბრძანებია ახალის სასწავლო გეგმით სამეგრელოში აწსავლონ რუსული ენა მშობლიურის, ესე იგი მეგრელებისათვის მეგრულის, ენის საშუალებით, მაგრამ გამოჩნდნენ ამ გეგმის წინააღმდეგნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრული და ქართული ერთი და იგივეა და იმოდენად დაახლოვებულია ერთმანეთზე, რომ მეგრელს ადვილად ესმის ქართული ლაპარაკი. მაგრამ სამეცნიერო ცნობები და კერძო გამოკვლევანი ამ საგნის შესახებ სულ სხვას ამბობს» და სხვ.

ამნაირად, ჩვენი პუბლიცისტი სავსებით ამართლებს იმ მოსაზრებას, რომ სამეგრელოს სკოლებიდგან სრულიად განდევნილ იქმნას ქართულის ენის საშუალებით სახელმწიფო ენის შესწავლა.

მამა ვოსტორგოვს რომ დაწერილებით გაეცნო მთელი ლიტერატურა იმ საგნისა, რომელზედაც იგი ასე გაბედვით ბაასობს, უთუოდ თავის თავის შერცხვებოდა, და ასე მცირე საგძლით არა წარსდგებოდა იგი საზოგადოების წინაშე.

ჩვენ არ შეუდგებით ამ პატარა წერილში იმის გამოკვლევას, თუ რამდენად მავნებელია სამეგრელოს მკვიდრთათვის სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა, რადგან ამ საკითხის შესახებ მრავალი საგულისხმიერო წერილი დასტამბულა, რომლის გაცნობა და გათვალისწინებაც, ვგონებთ, უსარგებლო არ იქნებოდა ახლად მოვლინებულ პუბლიცისტისათვის.

ჩვენ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ ორს მეტად შესანიშნავს წერილს, რომელიც დაისტამბა წარსულს წელს; ერთს ბ-ნ ვარიანელისას რუსულს ენაზე და მეორეს ლუარსაბ ლოლუასას—ქართულად. ეს ორი წერილი, სხვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, სრულიად ნათელ ჰყოფს საქმის ნამდვილ ვითარებას.

ბ-ნი ვარიანელი ცნობილი პედაგოგია, ხოლო ბ-ნი ლუარსაბ ლოლუა დახელოვნებული პუბლიცისტი და სამეგრელოს ცხოვრების ღრმა მცოდნე, როგორც ამ ქვეყნის ღვიძლი შვილი და მაშასადამე, ამათი მოსაზრებანი საქმის ვითარების ზედმიწევნით ცოდნის შედეგია.

ბ-ნი ვარიანელი თავისს წერილში: „Къ вопросу о мингрельской начальной школѣ“ მრავალის საგულისხმიერო ფაქტებით ამტკიცებს, რომ სამეგრელოს სკოლებიდან ქართულის ენის განდევნა ანტიპედაგოგიური საშუალებაა და, სხვათა შორის, სახელმწიფო ენის სწავლების საქმესაც შეაფერხებსო. ბ-ნი ლუარსაბ ლოლუა, ეს სამეგრელოს ბუნებითი ღვიძლი შვილი, არა ნაკლების მჭერმეტყველ ფაქტების მიხედვით, თავის წერილში: «სამეგრელოს საერო სკოლები», სამართლიანად ჰკვირობს: «რა სამართალია, რომ მეგრელებს წაერთვას ნამდვილი მათი დედა-ენა, ქართული, რომელთანაც ისინი ასე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, არა მარტო ნათესაობით, არამედ თხუთმეტის საუკუნის ღვთის მსახურებით და ორი ათასის წლის ისტორიულ-კულტურული ცხოვრებით. როგორ უნდა იცხოვროს და იმოქმედოს მეგრელმა გარეშე გურიისა, იმერეთისა, ქართლისა, და კახეთისა? რა ფასი უნდა ჰქონდეს ამ ადგილებში, თუ ქართული ენა და წერა-კითხვა არ ეცოდინება? ნუ თუ ეს ლუკმა-პურის წართმევას არ ნიშნავს?»

დიაღ, საქმის ჭეშმარიტად მცოდნენი, სამეგრელოს მკვიდრთა კეთილის მოსურნენი ასე ბჭობენ და აზროვნებენ, ხოლო ჩვენი მეცნიერი პუბლიცისტი მამა ვოსტორგოვი საჯაროდ გამოსულა და გვიმტკიცებს ვითომდა «სამეცნიერო ცნობების და კერძო გამოკვლევათა» მიხედვით ქართველები და მეგრელები ერთი მეორისაგან ენის მხრით დიდად განირჩევიანო, და ამიტომ სამეგრელოს სკოლებიდან ქართულის ენის განდევნა სრულიად საბუთიანი უნდა იყოს. «მეგრული ენა», ბრძანებს იგივე პუბლიცისტი, «ქართულ ფესვისაა, მაგრამ ქართულისაგან ისე დაშორებულია, როგორც ლიტვური ენა რუსულისაგან».

ჭეშმარიტად, დიდი გაბედულობა უნდა გქონდეს კაცს, რომ ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით საჯაროდ დაიწყო ლაპარაკი ისეთს საგანზე, რომლის შესახებაც სულ მცირეოდენი ცოდნაც კი არ მოგეპოვებოდეს.

მკითხველებს რომ თვალები აუხნიოს, მამა ვოსტორგოვი ლიტონის სიტყვებით ირწმუნება, რომ «სამეცნიერო ცნობები და კერძო გამოკვლევანი» გვიმტკიცებს მეგრელებისა და ქართველების-სხვა-და სხვაობას.

რომელი ან ვისი სამეცნიერო გამოკვლევანი ამტკიცებს ნეტავი ასეთს აბდაუბდას? ვისაც-კი სვინდისიერად შეუსწავლია ქართულ და მეგრული, იგი ასეთს უკუღმართობას თავის დღეში ვერ აღიარებდა. სამეცნიერო გამოკვლევანი კლაპროტისა, ბოპპისა, ცაგარლისა და ფილოლოგიური განმარტებანი ბ-ნ კლდიასი, სრულიად მამა ვოსტორგოვის საწინააღმდეგოდ ღაღადებს.

ჩვენმა ახლად მოვლენილმა პუბლიცისტმა არც ქართული იცის, არც მეგრული, არც ლიტვური და გაბედვით-კი გაიძახის, მეგრული და ქართული ენები სულ სხვა-და-სხვა ენებია, მათ შორის ისეთი დამოკიდებულებაა, როგორც ლიტვურსა და რუსულს ენებს შორისო.

განა სასაცილო არაა, რომ სამწუხარო არ იყოს კაცი, მეცნიერულ ჩადრით შებურვილი, ენების შედარებითი ნათესაობაზე ავტორიტეტულად საჯაროდ მსჯელობდეს და ამ ენების შესახებ ინჩიც-კი არა გაეგებოდეს-რა!..

ერთი ახალი და საკვირველი მეთოდიც მიუძღვნია ჩვენს პუბლიცისტს მეცნიერებისათვის ენათა შედარებითს კვლევა ძიებაში. ჩვენს ლინგვისტს თურმე სამეგრელოში მოგზაურობის დროს რამდენიმე ბავშვისათვის უკითხავს, ქართული გესმითო? და როცა უარის პასუხი მიუღია, ერთბაშად დაუსკვნია, მაშასადამე, მეგრული და ქართული ენები სულ სხვა-და-სხვა ენები ყოფილაო.

ვაშა, ვაშა, დიდებულო მეცნიერო, დიდებულის მეთოდის აღმოჩენისათვის!!. მეცნიერება უთუოდ ამ ახლად აღმოჩენილის მეთოდის საშუალებით გაამდიდრებს მთელს კაცობრიობას!..

ჩვენი პუბლიცისტი პედაგოგიის ზედმიწევნით ცოდნასაც არავის არ უთმობს და «სალის დიდაქტიკის მარტივის მოთხოვნილებათა» შესახებაც ავტორიტეტულად მსჯელობს «სასულიერო მოამბის» ფურცლებზე. როგორი თვისებისაა ჩვენი პუბლიცისტის პედაგოგიური სალი ცოდნა, იქიდანაც სჩანს, რომ იგი მუნჯურის მეთოდის მომხრე და ვექილია.

«ახალს სენაკში,—მოგვითხრობს ჩვენი პუბლიცისტი,—მათმა მეუფებამ ინახულა ნორმალური სასწავლებელი. აქ მათი მეუფება დაესწრო ორს გაკვეთილს, რომელიც მიცემული იქმნა მუნჯურის მეთოდით. მოწაფეებმა მტკიცედ, შეგნებით იციან რუსული ენა» და სხვ.

ყველა გამოჩენილი პედაგოგი პედაგოგიურს ლიტერატურში ერთხმად ამტკიცებს სრულს უვარგისობას ეგრედ წოდებულს მუნჯურს მეთოდისას. ამ მეთოდს ყველა სალის გონების პატრონნი პედაგოგნი ერთხმად აღვიარებენ ანტიპედაგოგიურ საშუალებად, ხოლო ჩვენი პუბლიცისტ-პედაგოგი-კი გუნდრუკს უკმევს ამ დახავსებულ, გონების გამათახსირებელ მეთოდს, და გვარწმუნებს, ვითომც ეს მეთოდი კიდევაც სასწაულ-მოქმედობდეს რუსულის ენის ზედმიწევნის შესწავლაში.

ჩვენ არ ვიცით, შეიძლება, ახალ-სენაკში მართლაც ამ მეთოდმა სასწაულთ-მოქმედება გამოიჩინა, ხოლო იგივე არ ითქმის ძველი-სენაკის სამინისტრო სკოლის შესახებ. ამ სტრიქონების დამწერიც დაესწრო ამ სკოლაში მუნჯურის მეთოდით მიცემულ გაკვეთილს, მაგრამ სულ სხვა შთაბეჭდილება გამოიტანა. ბავშვებს მუნჯურის მეთოდის საშუალებით ისე «მტკიცედ და შეგნებით» შეეთვისებინათ რუსული ენა, რომ ჩვენს შეკითხვაზე, როცა ბავშვი სხაპა-სხუპით მოგვითხრობდა თავის სხვა-და-სხვა ნაწილებს, „Гдѣ твоя голова?“, მოწაფემ გვიპასუხა: „Поти“-ო.

დიაღ, ასეთი სასწაულთ-მოქმედი ყოფილა მუნჯურის მეთოდით სწავლება, მოწაფეს ისე «მტკიცედ და შეგნებით» ასწავლის რუსულს ენას, რომ მოწაფის სხეული ძველ-სენაკშია, ხოლო თავი-კი ფოთში.

დაგვილოცია ჩვენის პუბლიცისტ-პედაგოგისათვის ასეთ დახავსებულის მეთოდის მომხრეობა და ვექილობა!...

ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ თვითოეულს შეგნებულ პუბლიცისტს, თვითოეულს შეგნებულ პედაგოგს, სკოლა ტაძრად აქვს მიჩნეული, საცა არ არსებობს არც ელლინი და არც იუდეანი, არსებობს მხოლოდ ჭეშმარიტება, რომლის მისაღწევად და შესათვისებლად საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ სალი პედაგოგიური საშუალება.

ჩვენი პუბლიცისტ-პედაგოგი საჯაროდ სთელავს ამ სალ პედაგოგიურ საშუალებას და მით სახელმწიფო ენის შესწავლას სამეგრელოს სკოლებში ერთი-ორად ამძიმებს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ცხოვრება საუკეთესო მსაჯულია. თვით ცხოვრების ულმობელი სინამდვილე სულ მოკლე ხანში აშკარად ჰყოფს, რომ სახელმწიფო ენის სწავლის საქმე მეტად შეფერხდება სამეგრელოს სკოლებში, რისთვისაც ჩვენს პუბლიცისტ-პედაგოგს არც მთავრობა და არც სამეგრელოს სკოლების მოწაფეთა მშობლები მადლობას არ მიუძღვნიან.

ა. ყუმისთაველი

II

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ «ივერიის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ჩემისა და ჩემის სავანის დების სახელით უ-დ სამღვდელო დიმიტრის, ეპისკოპოსს გურია-სამეგრელოისას, ასი მანეთის შემოწირვის გამო, სავანის ეკლესიის შენობის საჭიროებისათვის, რომელიც გადმოსცა ქვრივმა თავადის იოანე მაჭუტაძისამ, ანნა ნიკოლოზის ასულმა, უ-დ სამღვდელო დიმიტრის სახელით. აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ერთადვე დებსა, თავადის ივანე მაჭუტაძის ქვრივს ანნა ნიკოლოზის ასულს და განსვენებულის თავადის სამსონ მაჭუტაძის ასულს თეოდოსის, რომელთაც შემოსწირეს ჯიხეთის დედათა სავანის ეკლესიას საუცხოვო ხელობის ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი თავის მოწყობილობით, ოქროში დაფერილი, პირველმა თავის ძვირფასის განსვენებულ მეუღლის თავადის იოანე მაჭუტაძისა და მეორემ—თავის ძვირფასის განსვენებულ მამის თავადის სამსონ მაჭუტაძის სულის სამარადისოდ მოსახსენებლად.

გურიის ჯიხეთის დედათა სავანის წინამძღვარი, მონაზონი ელენე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მარტი.

**პეტერბურგი.** «კანონთა კრებულში» დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი, რომ შემოკლდეს როგორც 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ისე წინა წლებისაც, რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში ომია, 134.377,100 მანეთითა.

**კურსკი.** გუბერნიის უფროსმა მიიღო შემდეგის შინაარსის უმაღლესი დეპეშა: «გავიგე-რა, რომ ნაღმიანის გემის «სტერეგუშჩის» უფროსის, ლეიტენანტის სერგეევის მამა მძიმედ ავად არისო, გთხოვთ ნახოთ იგი და ჩემის სახელით გამოუცხადოთ მხურვალე მწუხარება,—ძე მისი დაიღუპა თავის ხელ-ქვეითებით და წმინდად და სიკვდილამდე ასრულებდა თავისს მოვალეობას. **ნიკოლოზი**».

**კიევი.** სამხედრო სამინისტროს მატარებელი, რომელიც კიევის წითელის ჯვრის გამგეობამ გაამზადა, 30 მარტს წავა ხარბინს; მიდიან ხუთი ექიმი, 15 დანი სათნოებისა და 30 სანიტარი.

**სევასტოპოლი.** მთავარმა უფროსმა დაათვალიერა ახლად გამოწვეულნი ჯარის-კაცნი. ადმირალმა დაათვალიერა ყარაგულთა სადგომები. აქაურ ნიშთან დაასვენეს გემის ხატი მაცხოვრისა, რომელიც თან წამოუყვანიათ. ხატი ჩასმულია მუხის უთში «ჩესმა»-ს გემიდან, რომელიც იყო მოწამე სევასტოპოლის დაცვისა.

**კანნა.** დიდი ჰერცოგინია მარსელს წავიდა. უნდა შეეგებოს რუსის ოფიცრებს, რომელნიც ჩემულპოს ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას. მისს უმაღლესობას სურს კანნას მოიწვიოს ოფიცრები.

**ბერლინი.** აქაური რუსეთის ელჩი იუწყება, ლიაოხეს შესართავში, ნიუჩუანთან, ნაღმია ჩაზრგილიო; სანეიტრალო გემებმა უნდა აღასრულონ მიწერილობანი ამ შემთხვევის შესახებ.

**მესსინა.** 22 მარტს, სადილის შემდეგ, იმპერატორმა ვილჰელმმა ეტლით ისეირნა.—დღეს გერმანიის იმპერატორი გემ «ჰოჰენცოლერნით» პალერმოს წავიდა.

**ნიურიუნბურგი.** დღეს დაიწყო მოქმედება პირველმა საერთაშორისო კონგრესმა სასკოლო ჰიგიენის შესახებ. კონგრესზე მონაწილეობას იღებენ ევროპის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, კარდა ოსმალეთისა. იაპონიასაც ჰყავს თვისი წარმომადგენელი.

**ვენა.** ავსტრიის ელჩი ბელგრადში დუმბა მივა თავის ადგას 29 მარტს.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სამხრეთ-ატლანტიის ესკადრა, რომელიც მოდის მადაგასკარის წყლებზე, სუეცის არხზე გაივლისო. ხმელთა-შუა ზღვაზე ზათვხულის განმავლობაში 16 ამერიკის სამხედრო გემები და კრეისერები იდგება, თუმცა ერთსა და იმავე დროს კი არა-

24 მარტი.

**პეტერბურგი.** შორეულ-აღმოსავლეთიდან 23 მარტს ოფიციალური ამბები არ მოსულა.

**ბერლინი.** იაპონელთა ომის გეგმის შესახებ შანჰაიდგან იტყობინებიან, იაპონელთა სამი რაზმი, ას-ასი ათასი კაცით ერთ დროს შეუდგებიან სატევ მოქმედებასაო. ამ ამბებს რომ დავუჯეროთ, პირველი რაზმი გადასულა ჩრდილოეთ-დასავლეთ კორეაში, რომ გარს შემოუარონ რუსეთის ჯარს, რომელიც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კორეაშია. მეორე გადასხდება ერთ-ერთს მანჯურიის ნაპირს იალუს დასავლეთით, ამავე დროს მესამე-კი ეცდება გადასხდეს ნიუ-ჩუანს ახლო.

**მარსელი.** მოვიდა გემი «აუსტრალიენი» და მოიყვანა «ვარიაგის» და «კორეეცის» აფიცრები და მეზღვაურნი. რუსის მეზღვაურთ დაუხვდნენ დიდი ჰერცოგინია მეკლენბურგ-შვერინისა და რუსეთის კოლონიის ვიცე-კონსული. მეზღვაურნი მიდიან სევასტოპოლს.

**ბერლინი.** როგორც «დეილი მეილი» იუწყება, იაპონელებმა სამხედრო ბაზისი გადაიტანეს პენიანიდან ჩრდილოეთისკენ. პენიანში კი ძალიან ცოტა ჯარი დარჩა. იაპონელებმა ცინამპოში ჯარის გადასხმა შესწყვიტეს.

**ტოკიო.** როგორც იუწყებიან, დიდი ბრძოლა მოხდება ანდუანის მიდამოებში.—რუსები ანდუანის გარემო მუყაითად აგებენ სიმაგრეებს. აქ რუსებს ჰყავთ 30 ათასი ჯარის კაცი.

**ბერლინი.** სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სამფლობელოთა ჯარების გასაძლიერებლად იგზავნება 350 ჯარის კაცი და 26 აფიცერი.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის დეპეშა, 24 მარტიდგან გამოგზავნილი მისს უდიდებულესობის სახელზე: «გენერალ-მაიორი კაშტალინსკი 23 მარტს იუწყება, რომ იალუზე მშვიდობიანობაა. ტიურინჩენის პირდაპირ კუნძულ მატუცეოზე მზვერავებს ჰქონდათ სროლა ი-ჩჟუსთან მდგარ იაპონელთა მოდარაჯეებთან. ჩვენ ზიანი არ მოგვსვლია, იაპონელთაგან ხუთი მოკვდა, დაჭრილთა რაოდენობა არ ვიცით. რუსის სოფელ იონამპოში საწყობები გაძარცვეს და დასწვეს. იონამპოში პატარა, 300 კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმია ქვეითა ჯარისა».

**ირკუტსკი.** უმაღლესად მინიჭებულის უფლებით, გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება: აკრძალულია შეგროვება ქუჩებში, იარაღის ტარება, მიღება და ყიდვა სამხედრო ნივთებისა, სურსათზე ფასების მომატება.

**მუკდენი.** 20 მარტს 13 მზვერავ ჯარის კაცს შეტაკება ჰქონდათ სამხრეთის მხრივ ხუნხუზებთან; ჩვენ დაგვიჭრეს სამი კაცი და სამი ცხენი, ერთი ცხენი მოჰკლეს, ხუნხუზებს 10 მოუკლეს, 20 დაჭრილია. ბრბოს მდევარი გამოუყენეს.

**სახალინი.** 24 მარტი. სახალინზე მშვიდობიანობაა.

**სოფია,** (სპეციალური). 22 მარტს მიწა იძრა რილს, მონასტირს, დუბნიცასა და ბობოშევში; მონასტირში საკმაო ზარალია; ბევრგან კედლები ჩამოიქცა. დუბნიცასა და ბობოშევში რამდენიმე სახლი დაიქცა; ბობოშევში თბილმა წყარომ ამოხეთქა, არავინ მომკვდარა.—მთავარი ფილიპოპოლში წავიდა აღდგომის სადღესასწაულოდ. აქ ნახა ნაჩევიჩი, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტ პეტროვთან ერთად სტამბოლიდან მოვიდა. ამბობენ, ნაჩევიჩი იმიტომ მოვიდა, რომ მიიღოს ინსტრუქცია ოსმალეთთან კონვენციაზე ხელის მოწერის შესახებაო. ოპოზიციის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ნაჩევიჩმა მინდობილი საქმე ვერ გააკეთაო.

---

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

**პეტერბურგის ბირჟა**

19 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,92 1/2 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,42 1/2 |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 1/2 ნ. გაყ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 92 წვრ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 379 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 308 1/4 ნის. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 267 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88 5/8 ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87 1/2 წვრ. გაყ. |

---

**რკინის გზის მიმოსვლა.**

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 7 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

---


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქეჯანა
2.
# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

---

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
**გულივერის მოგზაურობა**
სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[ა] გვ. ფასი 30 კაპ.

---



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ელა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება.

---

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**В. М. МИРИМАНЯНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—18)

---



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან
მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

ვუგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბროლოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბედით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩაწოს ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად. ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა,** 36—333

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ.

3—6—1)

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

# სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი.

---

მის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის კარის გაჩვანი

# ჩ ა ი
მ ს ნ ა გ ო ბ ა ჩ ა ი ს ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა
**ვ. ვისოცკი და კ-ო**
მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება
მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მისი თანხა **6.000.000** მ ა ნ ე თ ი.




წლიური აღებ-მიცემობა **20.000.000** მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია,**—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

**განყოფილებანი:**

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეძვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-о“.

დეპეშებისათვის: „Корабликъ“.

**ჩაი თავრობლვს**

მის უმაღლესობის სპარსეთის შაჰის კარის გაჩვანი. საქონელი იგზავნება სპარსეთის ტერიტორიით და ბუხარის ემირისა.

---

# „ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

# იყიდება.

ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

**აქვე შეიძლება იყიდონ კალენდრები:** უბისა, ჯიბისა და კედლისა.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

**მსურველთ** წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлис, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.


Дозволено цензурою Тифлисъ 24 мартъ 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.